



საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში
ინტეგრაციის საკითხებში

N 01/2541
14/08/2015

2541-01-2-201508141538



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში განხილული იქნა თქვენი ა.წ. 22 ივლისის # OPD07/15-023 წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

გიგზავნით დანართების სახით თქვენს წერილში მოთხოვნილ ინფორმაციას, რომელიც ეხება 2015 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ ცალკე თვეების მიხედვით) დარიცხულ პრემიებს, დანამატებსა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ დანართი # 1 შესაბამისად.

დანართი # 2-ით გიგზავნით სამართლებრივი აქტების ასლებს, რომლის საფუძველზეც გაცემულია პრემიები და დაწესებულია დანამატები.

დანართი # 3 -ით გიგზავნით ინფორმაციას სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2015 წლის შვიდ თვეში გაწეული წარმომადგენლობით ხარჯებზე.

თქვენს წერილში მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად გაცნობებთ, რომ მოთხოვნილ პერიოდში საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა 5 თანამშრომელი.

გიგზავნით ინფორმაციას სახელმწიფო მინისტრის მრჩევლის შესახებ დანართი # 4 შესაბამისად.

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატში დასაქმებულია 18 შტატგარეშე მოსამსახურე, რომლებსაც 2015 წლის შვიდი თვის განმავლობაში მიღებული აქვთ თანამდებობრივი განაკვეთის სახით 118 569 ლარი და პრემიის სახით 37000 ლარი, ხოლო შტატგარეშე მოსამსახურეებზე დანამატი დაწესებული არ არის.